## მოკრძალებული გამარჯვება

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 28 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) _ 1:0 (0:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი, რეხვიაშვილი, ყიფიანი, ლ. ნოდია.

“ზენიტი”: პრონინი, დერემოვი, ლოხოვი, ბულავინი, ზაგუმენიხი, სადირინი, კოხი, ვიუნი (ბურჩალკინი), ტრემბაჩი (გონჩაროვი), ზენჩენკო, ფოკინი.

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები _ 1:1.

სიმართლე რომ ითქვას, გულშემატკივრები თბილისის “დინამოსგან” მატჩის მოგებას უფრო დიდი, დამაჯერებელი ანგარიშით ელოდნენ, თუნდაც იმ ვითარებაში, რომელიც ამ შეხვედრისთვის შეიქმნა (თბილისელებს აკლდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე). მაგრამ ასეთ შემთხვევებში მუდამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რა მდგომარეობაშია მოწინააღმდეგე. “ზენიტი” კი ამ მატჩისთვის ერთობ მძიმე მდგომარეობაში გახლდათ.

იმ საუკეთესო მაჩვენებლებიდან, რომლებიც ლენინგრადელებს ჰქონდათ ჩემპიონატის სტარტზე, ნასახიც არ დარჩა. “ზენიტმა” ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ 2 ქულის აღება შეძლო, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის პოსტიდან XIII ადგილამდე ჩამოინაცვლა და ახლა, ფაქტიურად, სახიფათო ზონაშია. რასაკვირველია, ზენიტელები თავგამოდებით იბრძოლებდნენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ვინაიდან ერთ ქულასაც კი შეუძლია მათი რამდენიმე საფეხურით წინ წაწევა.

ამ მიზნის შესასრულებლად სტუმრებმა გააძლიერეს დაცვა, სადაც 7-8 მუდმივმოქმედ მოთამაშეს მოუყარეს თავი. ამ ხაზის დაძლევა დინამოელებს ძალიან გაუჭირდათ, ამასთან პირველი ტაიმი მათ თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ჩაატარეს.

თავდასხმა აგრესიულობას არ იჩენდა, ხშირად კარგავდა ბურთს, ნახევარმცველები აგვიანებდნენ გადაცემებს, თუმცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მაინც იყო.

გუნდმა თამაშის გამოსწორება შეძლო შესვენების შემდეგ. მაჩაიძემ ნახევარდაცვიდან გადაინაცვლა წინ, თავდასხმაში; სრული ძალით ათამაშდა ყიფიანი, რომლის წინააღმდეგაც შეტევის მარჯვენა ფლანგზე ვერაფერი გააწყვეს “ზენიტის” მცველებმა. ყიფიანი სისტემატურად აწვდიდა ბურთებს მეტოქის კართან და მის პარტნიორებს მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, გამარჯვებაც ასე არ გაჭირდებოდა.

მატჩის ბედი გადაწყდა 56-ე წუთზე. ძოძუაშვილმა მინდვრის სიღრმიდან წამოიწყო რეიდი, გადასცა ბურთი მჭედლიშვილს და ამ უკანასკნელმა მაშინვე, დროის დაუკარგავად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა რომელიღაც მცველს, შეიცვალა მიმართულება და გავიდა კარში _ 1:0.

ეს ანგარიში თბილისელებმა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

**რ. ქორიძე. “ლელო”, 1 ივლისი, 1972 წ.**